

შემუშავებულია 16.04.2018 წლის 21 იანვარს
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დამტკიცებულია 20.04.2018 წლის 20 აპრილს
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ნიჭიერ სტუდენტთა/
პროფესიულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლად სტუდენტებზე
ფინანსური და სხვა დახმარების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ნიჭიერ სტუდენტთა/
პროფესიულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლად სტუდენტებზე
ფინანსური და სხვა დახმარების გაცემის წესი (შემდგომში „წესი“) არეგულირებს შოთა
მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო
უნივერსიტეტი“) ნიჭიერ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა წახალისების,
სოციალურად მოწყვლად სტუდენტებზე ფინანსური და სხვა სახის დახმარების გაცემის
საკითხებს.

მუხლი 2. დახმარების/წახალისების გაცემა

1. სასწავლო უნივერსიტეტში შეიძლება წახალისდნენ ფინანსურად:

- ა) ნიჭიერი სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც საჭიროებს ფინანსურ დახმარებას აკადემიკობის, სოციალური და სხვა მდგომარეობის გამო.
- ბ) სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც საჭიროებს ფინანსურ დახმარებას აკადემიკობის, სოციალური და სხვა ოჯახური მდგომარეობის გამო.

2. სასწავლო უნივერსიტეტში ნიჭიერი სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის,
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ფინანსური
და სხვა სახის დახმარება ფინანსდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან
გამოყოფილი თანხით.

მუხლი 3. დახმარების/წახალისების გაცემა ნიჭიერ სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე

1. ნიჭიერი სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ფინანსური წახალისების
ან/და სხვა სახის დახმარების გაწევა ხდება დაინტერესებული პირის განცხადებისა და

ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინების/ სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2. ნიჭიერი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსური და სხვა სახის დახმარების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. ნიჭიერი სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ფინანსური და სხვა სახის დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

4. ნიჭიერი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსური და სხვა სახის დახმარების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

მუხლი 4. დახმარების/წახალისების გაცემა სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე

1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსური წახალისების ან/და სხვა სახის დახმარების გაწევა ხდება დაინტერესებული პირის განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინების/ სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსური და სხვა სახის დახმარების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. ნიჭიერი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსური და სხვა სახის დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

4. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსური და სხვა სახის დახმარების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ოჯახური მდგომარეობა, სოციალური სტატუსი, ოჯახიდან ორი ან მეტი სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი. ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის, სტუდენტური თვითმმართველობის, სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების წარდგინებები და სხვა გარემოებები) გათვალისწინებით.

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

„შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ნიჭიერ სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლად სტუდენტებზე ფინანსური და სხვა დახმარების გაცემის წესში“ შესატან ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

